№ 158 1 მარიამობისთვე ოთხშაბათი 1866—1879 1 მარიამობისთვე ოთხშაბათი № 158

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

ბაზეთის ფასი: თელის წლისა— 8 მ., ნახევარ წლისა— 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: [illegible] ასოზე 1 კაპ., [illegible] ცალკეთი— 5 კაპ., პატარათი— 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბალის (სადღეის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ხუთი მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

გაშტეინი, 28 ივლისს. აქ მოვიდა ავსტრიის იმპერატორი, რომელიც დაუყოვნებლივ მივიდა სანახავად ბერძნიის იმპერატორთან. ნახევარი საათის ბაასის შემდეგ ორივე იმპერატორები კლიასკით წავიდნენ ციხეში.

სტამბოლი, 27 ივლისს. სულთანის დაბადების დღეობაზედ, სასახლეში ყრილობის დროს ჰამიდი უმტკიცებდა მინისტრებს, რომ საჭიროა საჩქარით შემოვიღოთ ოსმალეთში ევროპისაგან მოთხოვნილი რეფორმები (ცვლილება). სულთანმა ამ დროს, სხვათა შორის წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოიხსენა, რომ მოახლოვდა ის დღე, რომ მელმანც უნდა გადასწყვეტოსო ოსტომანის იმპერიის ბედი. სულთანი ძალიან აღელვებული იყო. ამის სიტყვებში ბევრი ატყობს, რომ სულთანს ეშვი აქვს ინგლისის მინისტრებისაგან განცხადებაზედ. ბრიტანის გემების მოსვლამ ბეზიყის ნავსადგურში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა სტამბოლში. პორტის მოთხოვნილების გამო ინგლისის ესკადრონი გადაყვანილია ლემნოსის კუნძულზედ. თათრების მცხოვრებლები ძრიელ გაცხარებულები არიან ინგლისის წინააღმდეგ.

პეტერბურღი, 28 ივლისს. „პეტერბურღის უწყებების“ ტელეგრამმა ბაზარდჟიკიდამ 27 ივლისს: აქაურ ბოლგარიელებს შუა ფოჩტით ძიძოსელა შეწყვეტილია; წერილები იგზავნება ატრიადით; აუცილებელ საჭიროებას ითხოვს კავალერია; დოქტორები, ფერშლები და სანიტარული საშუალება არ არის.

„ახალ-დროებაში“ იწერებიან ადრიანოპოლიდამ, რომ რ ჰად-ფაშა, აწმყო ფროსი თათრების ჯარისა ალმოსავლეთ რუმელიის სამძღვრებზედ, ინიშნება ადრიანოპოლის ოკრუღის ღენერალ-ღუბერნატორად. რუჭ-ფაშაი ინიშნება უფროს კომანდირათ ჯარისა, რომელიც 35,000 კაცისგან შესდგებათათრების ჯარის შემოსვლას ალმოსავლეთ რუმელიაში ძალიან მოკლე დროში მოელიან.

სალონიკი, 27 ივლისს. თათრების ჯარის უფროსმა ბრძანება მიიღო, რომ ყველა თავისუფალი ბათალიონები გაგზავნოს ინინში და ბერძნების სამზღვარზედ.

„ბოლოსი:“ 27 ივლისს მოსკოეში მოვიდნენ საფრანგეთის სწავლულები.

სარაევო, 28 ივლისს. გუშინ, ნაშვადღევს, აქ გაჩნდა ციცხლი, რომელიც ღღეს გაანელეს. დაიწვა: კათოლიკების ტაძარი, რამოდენიმე მეჩითები, ათასამდი სახლები. 20,000 კაცი უსახლ კაროთ დარჩა. ცეცხლი ქალაქის შუაგულ ნაწილში გაჩნდა. სავაჭროები სარაევოში სულ განადგურებულია.

გაშტეინი, 29 ივლისს. ღღეს, დილის 11 საათზედ, ავსტრიის იმპერატორი წავიდა აქედამ. ბუშინდელი საღამო ორივე იმპერატორებმა ერთად გაატარეს და ღღეს დილით ერთმანერთი ნახეს; გამოთხოვების დროს გადაეხვივნენ ერთმანერთს და დაჰკოცნეს.

სოფია, 29 ივლისს. ბუშინ პერტეფეფენდიმ მოუტანა ბოლგარიის თავადს დეკრეტი იმისი ტახტზედ აყვანაზედ.

საქართველო

ღღიური

*** ჩვენს ოფიციალურ გაზეთში, „კავკაზს,“ დაბეჭდილია შემდეგი ცნობა კავკასიის ფოჩტის ოკრუღის სამართველოსაგან:

„ამ წლის 22 მაისს ქალაქ შუშასა და ხოჯალონის სტანციას შუა დაიკარგა შუშიდამ ელისაველტოპოლში წაღებული ფოჩტის ყუთი, რომელშიაც 5,073 (ხუთიათას სამოცდა ცამეტი) მანეთი იყო.

ბაქოდამ ქრასნოეოდსკში მიმავალი ფოჩტიდამ 30 აპრილს და 1 მაისს ფაჩტალიონმა მოიპარა კონვერტი 22.943 (ოცდა ორი ათას ცხრაას ორმოცდა სამი) მანეთით. ამ ფულიდამ 22.900 მანეთი იყო სახელმწიფო ფულები, თბილისიდამ 16 აპრილს ქრასნოეოდსკში გაგზავნილი, ხოლო დანარჩენი 43 მანეთი საიდამ იყო გაგზავნილი, ჯერ არ უცნობებიათ.“

*** ამავე გაზეთში იწერებიან დაღესტნიდამ, რომ იქითკენ თიბათვის პირველ რიცხვებში გაჩენილა აუარებელი კალია, რომელსაც სულ გაუნადგურებია ბალახი და ყოველივე ნათესი. მცხოვრებლებს თუმცა ყოველივე ღონისძიება უხმარიათ იმის წინაალმდეგ, მაგრამ ვერა გაუწყვიტეთ რა, რადგანაც კალიები დაზრდილები ჰვოფილან და თავისუფლად ერთი ადგილიდამ მეორეზე გადაფრენილან.

მაისში ერთ, მეორე სანაიბოშიაც მოფრენილან დიდიკალიები, მაგრამ ძალიან გაუწყვეტია ერთ გვარ ფრინველებს, რომლებსაც იქაურათ ალა—სიგირტხიჩს ეძახიან. თიბათვის გასულს კიდევ მოფრენილა ორი ეეებერთელა რაზმი კალიებისა: ერთი იმათგანი მოსდებია სიმინდსა და მეორე პურს; მაგრამ მცხოვრებლების მეცადინეობით მალე გაუსტუმრებიათ ეს კალია სხვა მხრისაკენა.

*** ოზურგეთიდამ იწერებიან, რომ იქ ისეთი წვიმიანობა ასტყდაო, რომ მცხოვრებლებს ეშინიანთ, 1876 წლის წყალდიდობა კი არ გეეწვიოსო. ბევრი იმ ზომამდი მიიყვანა თურმე წვიმებმა, რომ სახლები დასცალეს და უფრო უშიშარ ადგილებში გადაეიდნენო. ნიაღვარს ქალაქის დაბლობი ადგილები სულ ერთიან დაუტერია.

იქაურ საზოგადოებას შეკრებილი ჰქონია ფულები ბდ. ბჯუჯის ნაპირების გასამაგრებლად, რომ ამ გვარ წყალდიდობის დროს შეუკრან გზა ნიაღვარს ოზურგეთში, რომელიც ეხლაც კინაღამ არ დაუფარაეს იმას. მაგრამ ეს ფულები სადღაც მიუმალავთო, იწერება კორრესპონდენტი, და არ ფიქრობენ მოახმარონ ამ საქმეს და ამ ნაირად მოიშორონ ის შიშის ქარი, რომელსაც მოელიან ყოველთვის, როგორც კი ცა მოიღრუბლებაო.

*** ᲒᲐᲖᲗᲘ, „ᲑᲐᲥᲝᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲘ“ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲘᲥᲐᲣᲠ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲖᲐᲝᲚᲨᲘ ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜᲪ 80.000 (ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ) ᲤᲣᲗᲘ ᲜᲐᲕᲗᲘ ᲓᲐᲡᲬᲕᲐᲝ.

*** „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲨᲘ,“ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, ᲨᲣᲐᲦᲚᲔᲖᲔᲓ ᲮᲘᲓᲖᲔᲓ ᲛᲘᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲢᲧᲕᲔᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲓᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲝᲠᲘ ᲗᲐᲗᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲐᲡ ᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲮᲘᲓᲖᲔᲓ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲔᲡ, ᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲢᲐ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲓᲐᲘᲛᲐᲚᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲖᲕᲘᲠᲗᲔᲑᲨᲘᲝ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

Უ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝ!

ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲒᲗᲮᲝᲕᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚ ᲒᲐᲖᲗᲔᲗᲨᲘ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲝᲙᲝᲚᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲒᲐᲡᲐᲪᲜᲝᲑᲚᲐᲗ.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ Ი. ᲛᲔᲣᲜᲐᲠᲒᲘᲐ.

ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲡ „ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲡ ᲞᲠᲝᲢᲝᲙᲝᲚᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲒᲐᲡᲠᲣᲚᲡ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ. ᲕᲘᲓᲠᲔ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲢᲝᲙᲝᲚᲘ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲬᲔᲕᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲛᲘᲗ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲑᲓᲔᲡ ᲠᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘᲐ „ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ“, ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲗ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲝᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ:

„ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲚᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ 126 ᲞᲘᲠᲗᲐ. ᲐᲛᲐᲗ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ „ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲜᲓᲕᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲬᲐᲠᲓᲒᲘᲜᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲤ. Ი. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲡ, ᲗᲐᲕ. Ი. Კ. ᲭᲐᲤᲩᲐᲕᲐᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲮ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲡ Ბ. Ლ. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲡᲐᲛᲔ ᲛᲘᲬᲔᲠ-ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲐ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡᲐ ᲔᲡ ᲬᲧᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ 21 ᲛᲐᲠᲢᲨᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲡᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲧᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ 15 ᲛᲐᲘᲡᲡ. ᲐᲛ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲔᲡ�წᲠᲜᲔᲜ 22 ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲡᲔᲑᲔᲚᲜᲘ ᲬᲔᲕᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲗ ᲨᲔᲛᲬᲘᲡᲔᲚᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲚᲜᲘ ᲞᲘᲠᲜᲘ. ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲖᲔ Დ. Ი. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ. ᲘᲛᲐᲜ ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲬᲧᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲛᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲚᲓᲔᲑᲘᲡᲐᲕᲔ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲡᲔᲑᲔᲚ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ, ᲘᲜᲔᲑᲔᲑᲔᲜ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲘᲚᲝᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲬᲔᲕᲠᲐᲗ ᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲪ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲘᲛ ᲓᲘᲚᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲗ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ, ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲗ ᲡᲘᲐ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ. ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲡᲔᲑᲔᲚ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲔᲠᲗ-ᲮᲛᲐᲗ ᲛᲘᲘᲦᲚᲔᲡ ᲘᲡᲔᲜᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲐᲗ. ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ:

1) ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲫᲔ
ᲑᲐᲙᲣᲚᲘᲜᲘᲡᲙᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ
ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ
ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲔᲛᲔᲓᲝᲙᲘᲛᲘᲡ ᲫᲔ
5) ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲐᲙᲝᲑ ᲡᲔᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ
ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ
ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲫᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ
ᲔᲚᲘᲔᲕᲘ ᲔᲚᲘᲐᲢᲔ, ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ
ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ
10) ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ ᲛᲐᲘᲮᲡᲠᲝ
ᲖᲣᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡᲫᲔ
ᲖᲣᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲫᲔ
ᲖᲣᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲫᲔ
ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘᲡᲐ ᲘᲣᲚᲘᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ
15) ᲗᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲑᲐᲑᲠ. ᲐᲡᲣᲚᲘ
ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ
ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲛᲘᲮ. ᲐᲡᲣᲚᲘ
ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲡᲝᲤᲘᲝ ᲔᲓᲣᲐᲠᲓᲘᲡ
ᲐᲡᲣᲚᲘ
ᲙᲔᲡᲐᲠᲘᲝᲡᲘ ᲐᲠᲮᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘ
20) ᲙᲘᲢᲙᲝᲕᲡᲙᲘ ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲡ ᲫᲔ
ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ ᲐᲜᲢᲝᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡᲫᲔ
ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲓᲘᲛ. ᲐᲡᲣᲚᲘ
ᲛᲐᲙᲐᲠᲘ ᲐᲠᲮᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘ
ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲔ
25) ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲫᲔ
ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ
ᲛᲔᲡᲮᲘ ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ
ᲛᲔᲡᲮᲘᲡᲐ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ
ᲛᲔᲡᲮᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲡᲔᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ
30) ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ
ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲝᲕᲘᲡᲐ ᲐᲜᲜᲐ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ
ᲛᲦᲔᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲫᲔ
ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢ. ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ
Ო.ᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ ᲫᲔ
35) ᲠᲝᲢᲘᲔᲕᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲘ
ᲠᲝᲜᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲚᲔᲥ. ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ
ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ
ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ
ᲡᲤᲠᲘᲓᲝᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲘᲛᲝᲜᲝᲕᲘᲩᲘ
30) ᲣᲗᲣᲠᲒᲐᲣᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ
ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲔ
ᲤᲐᲔᲚᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲘᲔᲡᲔᲡ ᲫᲔ
ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ ᲐᲜᲢᲝᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ
ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲐ ᲓᲘᲛ. ᲐᲡᲣᲚᲘ
45) ᲛᲐᲜᲐᲜᲝᲕᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ
ᲛᲐᲜᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ Ო.ᲚᲒᲐ ᲚᲘᲣᲓᲝᲕᲘᲙᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ
ᲫᲘᲥᲝᲫᲔ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲐᲗᲐᲜᲐᲡᲔᲡ ᲫᲔ
ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ
ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐ ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲛᲘᲮ. ᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ
50) ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ
ᲣᲜᲘᲩᲣᲔᲕᲘ ᲞᲔᲢᲠᲔ, ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ
ᲨᲘᲣᲙᲐᲕᲘ ᲨᲝᲗ ᲘᲡᲐᲙᲘᲡ ᲫᲔ
ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ
ᲩᲘᲯᲐᲕᲐᲫᲔ ᲘᲐᲙᲝᲑ, ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ
55) ᲩᲝᲚᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲑᲔᲚ Ო.ᲗᲐᲠᲘᲡ ᲫᲔ
ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ
ᲪᲮᲕᲔᲗᲐᲫᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲖᲔᲑᲔᲓᲔᲡ ᲫᲔ
ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲔᲕᲗᲘᲛᲔᲡ ᲫᲔ
ᲭᲧᲝᲜᲘᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲘᲠᲘᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ
60) ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ ᲐᲚᲔᲥᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ
61) ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲔ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲡ ᲫᲔ.

ᲐᲛᲐᲗ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ Უ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲛᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲣᲓᲔᲗ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ: Ბ. Ლ. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Ი. Კ. Ო.ᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ Თ. ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ Ო.ᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲗ-ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲔᲦᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ Თ. Ო.ᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲛᲠᲗᲔᲚᲔ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲐᲫᲚᲔᲕᲔᲜᲝ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲘᲓᲝ ᲐᲛ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲐᲝ. ᲛᲐᲨᲘᲜ Თ. Ო.ᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ ᲔᲠᲗ-ᲮᲛᲐᲗ ᲐᲛᲝᲠᲩᲘᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕ-ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ Უ. Დ. Ი. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲝᲠᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ (ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ ᲓᲐ Დ. ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ) ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ. ᲑᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ 35 ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ 16-ᲗᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲙᲔᲜᲭᲘᲡ ᲧᲠᲐᲖᲔ ᲓᲐ 19-ᲛᲐ ᲘᲧᲐᲠᲐ. ᲐᲛᲝᲠᲩᲘᲔᲡ:

ᲑᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲐᲓ:

	ᲗᲔᲗᲠ.	ᲨᲐᲕ.
Ი. Ბ. ᲭᲐᲤᲩᲐᲕᲐᲫᲔ. . .	41	— 5
Ნ. Ზ. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ . .	41	— 5
Ი. Ს. ᲑᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ .	38	— 8
Ი. Ბ. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ . . .	37	— 9
Ა. Ი. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ. .	33	—12
Რ. Ბ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ . . .	33	—13

ᲓᲐ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲐᲗ:

Ნ. Დ. ᲫᲐᲜᲐᲜᲝᲕᲘ, . . .	30	— 16
Დ. Ი. ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ .	30	— 16
Ბ. Კ. ᲣᲢᲣᲠᲒᲐᲣᲠᲘ .	29	— 17

ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡᲕᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲐᲛᲝᲠᲩᲘᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ. ᲐᲛ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲠᲩᲘᲔᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲐᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲐᲓ, Ი. Ბ. ᲭᲐᲤᲩᲐᲕᲐᲫᲔ, ᲡᲔᲙᲠᲔᲢᲠᲔᲑᲘ Ა. Ი. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲖᲘᲜᲐᲓᲠᲐᲓ Რ. Დ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘ)

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲓᲐᲜ, 26 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. 6 ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲥᲐᲠᲓᲐᲜᲔᲮᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲦᲠᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲔᲗ. Ი. ᲐᲥ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ ᲒᲐᲛᲡᲔᲡᲮᲔᲑᲔᲚ-ᲨᲔᲛᲬᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲑᲐᲜᲙᲘ. ᲔᲐ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲛᲘᲗᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ. ᲐᲛᲐᲗᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ. ᲐᲛᲐᲗᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲐᲓᲘᲜᲔ ᲛᲨᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ Თ. Ი. ᲠᲘᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜᲪ ᲨᲔᲐᲒᲠᲝᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ, ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ, ᲓᲐ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ. ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲛᲝ

თონ ილია აფხაზი. ბუღალტრობა უჯამაგიროთ ექვს თვეს უკისრნია ამავე სოფლის მასწავლებელს. ამ კრილობის დროს შემდეგ სადილისა ბევრს შეუწირავს ფული, რომლებიც ჩაუწერიათ დავთრებში.

ეს მეტად სასარგებლო საქმე ამისთანა მზრუნველის ხელში და მხედველობის ქვეშ, როგორც თ. ილია აფხაზი, კარგ იმედს უნდა უქადოდეს ამ სამი სოფლის მცხოვრებლებს, განსაკუთრებით გლეხკაცობას. იმედია რიგიანათ საქმის წაყვანით რამოდენიმე ხნის შემდეგ თვითონ გლეხებიც ჩაეწერებიან ამხანაგებათ და ბანკი გაიდგამს ფესოებსა.

ამ ნაირი იშვიათი შეერთებული ამხანაგობის შრომით შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი, რომ იქიდამ შეიძლება დაიბადოს საერთო თანხმობა და სიყვარული, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენთვის.

ხეჩილ შონელი.

რუსეთი

— ერთ რუსულ გაზეთში იწერებიან შემდეგს: „ოდესაში ერთ მილიონერს ს. ი. რალლის მოუვიდა წერილი, რომელშიაც იმას ურჩევდენ ჩადოს კონვერტში 1,000 მანეთი და 1 საათზედ ნაშუალამევს დასდოს ბულვარში დანიშნულ ადგილას (ადგილს უჩიშნავს) სკამის ქვეშ; წინააღმდეგ შემთხვევაში რალლის ემუქრებოდნენ სიკვდილს. წერილის ძირს ეწერა: „რევოლიუციონერი კომიტეტის წევრნი“.

რალლიმ აცნობა ამაზედ ოდესის გრადონაჩალნიკს და ფულები პოლიციის მხედველობის ქვეშ დასდეს დანიშნულ ადგილზედ. 12 საათზედ მართლა მოსულა ორი კაცი და რადგანაც ბევრი ხალხი იყო ბულვარზედ, დიდხანს ისხდნენ იმ სკამზედ. ბოლოს აიღეს ფულები სკამს ქვემოდამ და უნდა წასულიყვნენ, რომ ამ დროს შეიპყრეს. აღმოჩნდა, რომ ეს სოციალისტები ლაქიები ჰყოფილან“.

— მეორე ამ გვარსავე ამბავს იწერებიან კიდე გაზეთ „ნედელიაში“: „პსკოვის ღუბერნიის ერთ სოფელში ერთმა ქალმა მიიღო წერილი შემდეგი შინაარსით: „ფულები გვინდა. მიიღეთ შრომა, ჩადეთ კონვერტში ათასი მანეთი და სამ დღემდი მიიტანეთ ამა და ამ ადგილზედ. თუ არ აასრულებთ ამას, ცეცხლით გადაგწვავთ, და თუ ამ წერილს გამოაქვეყნებთ,—მოგკლამთ! ქალს უნდოდა აესრულებინა ეს მოთხოვნილობა, რადგანაც მარტოკ იყო,—ქმარი შინ არ ჰყავდა,—და ავათმყოფიც. მაგრამ მეორე დღეს მოვიდა ამისი ქმარი, ღენერალი, რომელმანც წერილი გაგზავნა პოლიციაში. დანიშნულ ადგილას დასდეს უფულო კონვერტი, მაგრამ არავინ არ მოვიდა წასაღებად. ყველა განცვიფრებაში იყო, თუ ვის უნდა წარმოედგინა ეს წერილი? ქალმა ის ნახა თავის ოთახში, სტოლზედ, სამათ გაკეცილი, დაუბეჭდავი და მოკლე ადრესით“.

— ერთ რუსულ გაზეთს მოჰყავს უცხო ქვეყნების გაზეთებიდამ როგორც გაგონილი ხმა, რომ რუსეთმა უარ ჰყო დაუთმოს ჩინელებს კულჯუ. ამ ხმას ეს გაზეთი ამტკიცებს, როგორც მართალს.

უცხო ქვეყნებს

ბელგია.

ბელგიის ქალაქში, ნიველლში, კვირა ღამეს შემდეგი შინაარსის წერილი უპოვნიათ კედლებზედ მიკრული:

„ნება მოგვეცით დავკლათ კოროლი, ეს ტირანი ბელგიის ხალხისა!!! ნება მოგვეცით ავკუწოთ იმისი სახლეულობა სახელითა ღვთისათა!!!

კლერიკალი.

ოსმალეთი.

ენერგიული მეცადინეობა რეუფ-ფაშისა, — იწერებიან ადრიანოპოლიდამ ერთ რუსულ გაზეთში,—რომ მოახდინოს კეთილ-განწყობილობა თავის სამმართველოში, სამწუხაროდ, არავითარ კეთილ ბოლოს არ აჩენს. უფრო საძნელო საქმე, მინდობილი რეუფა-ფაშაზედ, არის ის, რომ ბუსურმანები დაასახლოს, წინანდელ სამოსახლო ადგილებზედ და დააპატრონოს დატოვებულ ქონებას 52,000 გადასახლებულებსაგან მხოლოდ 15,000 ძლივს დააბრუნეს უკან; 37,000 კაცი ყოველივე საშუალება მოკლებულია საცხოვრებლად და ცხოვრებენ მცირე საზრდოთი, რომელსაც მმართველობა აძლევს და რომ ამ მცირე საშუალებით ცხოვრებას ვერ ახერხებენ, ბევრნი დამშეულნი ცარცვა-გლეჯითა და მკვლელობით ცხოვრობენ“.

—

— „პეტერბურგის უწყებებში“ იწერებიან ოსმან-ბაზარიდამ 22 ივლისს, რომ ბუსურმანებს შუა რაღასაც ემზადებიან. დაატყვევეს მოლლა საეჭვო დოკუმენტებითა. ავაზაკების გროვა შესამჩნევი არ არის, მაგრამ მაინც ვერ აუვადნენ და ვერა გააწყვეს რა!

— ოსმალეთის კომმისარმა, ბუსნიფაშამ გამოაცხადა შიში, რომ იმას და ავსტრიის კამისრებს ნოვო-ბაზრის მაზრებში წასვლის დროს იგივე მოელის, რაც შეემთხვა მეჰმედ-ალის, რომელიც უბრალოთ მოჰკლეს იქა!..

— სტამბოლიდამ თავადი ბოლგარიისა ალექსანდრე ტელეგრამმით აცნობებს პორტას, რომ ოსმალოს რეგულიარული ჯარი გადმოვიდა ბოლგარიის ადგილებში და ბაშიბუზუკები ცარცვასა და კაცის კვლას ახდენენ. თავადი სთხოვს პორტას დაუყოვნებლივ დააბრუნოს ჯარები ბოლგარიიდამ.

ნარევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა.

შრომისა შვილო, გლეხო პატარა,
ისწავლე წიგნი, ეცადე ჩქარა!
შემდეგ წიგნისა—თოხვა და ბარვა,
არა სხვასავით ხვეწა და პირვა;

—

ძმაო ვინც სწავლა არ მოიხმარა,
იგი ტანჯვისა მსხვერპლი გამხდარა!
ისწავლე წიგნი, ბიჭო პატარა,
მანამ დაგცქერის ცისა კამარა!

—

ვიდრე ხარ ქვეყნად სწავლა არ კმარა,
მოხუცი იყვე, თუნდა პატარა!..
ვინც რომა სწავლა არ დაიზარა
იგი ამ ქვეყნის ძეგლი გამხდარა.

—

ვინც მონის შრომით დრო გაატარა
მისი ხსენება მსწრაფლად გამქრალა!
შრომისა შვილო, გლეხო პატარა,
ისწავლე წიგნი, ისწავლე ჩქარა!

ი. დ.

*
* *

ანეკდოტები.

ერთმა კაცმა მეზობელს საარაყე ქვაბი სთხოვა და როდესაც უკან მიუტანა ერთი პატარა ქვაბიც შიგ ჩადგა. პატრონმა ჰკითხა: ე პატარა ქვაბი რაღაზ მოიტანეო?

— შენმა ქვაბმა მოიგოვო! უთხრა მიმტანმა.

გამოვიდა რამდენიმე ხანი და ამან კიდევა სთხოვა ის დიდი ქვაბი; მაგრამ აღარ დაუბრუნა. პატრონმა უჩივლა: ქვაბი ვათხოვე და აღარ მაძლევსო! მოსამართლემ ჰკითხა წამღებს: რატომ არ აძლეო?—როგორ დავუბრუნო, რომ მამიკვდაო?—როგორ თუ მოგიკვდაო? ჰკითხა მოსამართლემ.—როგო ბატონო და ერთხელ ვითხოვე, მოგებითდა შვილიანათ დავუბრუნე უკანაო და ეხლა კი თან გადაჰყვა შვილოსნობასაო!

*
* *

ერთმა კაცმა ერთი საჟენი სიგძე ყუთი შეუკვეთა დურგალს და დურგალმა კუბო გაუკეთა და დაასხა რაზა კოჭაკი. როდესაც მოვიდა შემკვეთი და ჰკითხა, ყუთი რაუყავიო, იმან კუბო დაუდგა წინ.—ეგ არა არისო, მე ყუთი გითხარი და არა კუბოვო!—თქვე დალოცვილო, ეგ არა სჯობიან? ვიდრე ცოცხალი ხართ, ყუთათ იხმარეთ და მოკვდებით კუბოთაო! მიუგო დურგალმა.

ი. დ.

განცხადებანი

„ბათუმი“

ახალი სასტუმრო ქუთაისში.

ახლად გახსნილის ქ. ქუთაისში ბათუმის სასტუმროს მასპინძელი ეცხადებს პატივცემულის საზოგადოების საცნობლად, რომ მე გავათავე ყველა ახალი მოშენებული ოთახები ჩემის სასტუმროისა და ფასებიც შევამცირე, ასე რომ 33-ს ოთახში, რომელიც ჩემს სასტუმროში არის, ზოგი 50 კაპეიკად ღირს, ზოგი 70 კაპ., ზოგი 1 მ., 1 მ. 50 კაპ., 2 მან. და 3 მან ამასთანავე სასმელ-საჭმლის ფასიც დავამცირე. აქტიორებს და სხვა მოთამაშეებთაგანს მეათედ ფასს ეუკლებ ყველაფერზედ.

ზ. ბარძიმიშვილი.

(3—1)

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის საამართველო ეცხადების, რომ ამ ბანკის წესდების მე 17 § ძალით ინიშნება საზოგადო-ვაჭრობით გასასყიდლად, ბანკის სადგომზე, შემდეგი მამული:

წერეთელთა, გორგი და დიმიტრი ევთიმეს ძეთა, ვასილ სიმონის ძის და შტაბს კაპიტანის იოსებ ოქროპირის ძისა, მდებარე ქუთაისის უეზდის, წინაველში, სახელად „სარბევი.“

(1—1)

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები ფიჭვისა და ნაძვის ხეებისა კარების, ფანჯრებისა და იატაკებისათვის. სრულიბით მშრალი ფიცრებია, ოთხი წლის დახერხული.

ვისაც ამ ხის მასალის შეძენა ჰსურს, შუძლიან მიმართოს არსენალის ეზოზე, ფოლინოვის სახლებში № 31; იკითხოს უფ. ვალერიან ჩეჩუტი.

(3—2)

გამოვიდა და ისყიდება
სახალხო სამეცნიერო წიგნი

კარაბადინი

შედგენილი

მღ. დავით ღამბაშიძისაგან.

გამოცემა პირველი.

ფასი გაგზავნით უყდოთ ერთი მანეთი, ყდით ექვსი აბაზი.

წიგნის ყიდვა შეიძლება:

თფილისში — ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში — სიმონ ცერეაძის მაღაზიაში (გიმნაზიის მახლობლად).

ახალ-სენაკში — ბლაღოჩინს სისოროდიასთან.

ზუგდიდში — ბლაღოჩინ მიხ. მეუნარგიასთან.

ლიხურუმში (ლაილასში) — ბლაღოჩინ ილარიონ ბერსამიასთან.

საჩხერეში — ყარამან ჩხეიძესთან — სასოფლო სკოლაში.

გორში — პაველ ბურჯანაძესთან (სასულიერო სასწავლებელში).

ყვირილაში — ბლაღოჩინ დავით ღამბაშიძესთან.

დაბარება შეიძლება თვითონ გამომცემლისაგან, მღ. დ. ღამბაშიძისაგან (დ. ყვირილიდამ), ამ ადრესით: Въ м. Квирилы (Кут. губ.). Священнику Давиду Гамбашидзе. ვინც ათ ეგზემპლიარზე მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შაური დაეთმობა.

(7—3)

მოვიტანე პარიჭი დამ ყოველ გვარი ნამოსნდის ნიმუშები, რომლებზედაც ვიღებ ზაკაზებს კარგის პიროგებით.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ეს ნიმუშები უ. არწრუნის ქარვასლაში № 181, სადაც იქმნება გამოფენილი მოკლე ხნით. პარიჭის ფირმა: Gilles et Iohan Chandons.

დაიბეჭდა და ისყიდება
აქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიადისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ბორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაალოევთან, ოზურგეთში ბრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

გამოვიდა და ისყიდება

„ბუტიაოგა“

ვოდევილი
აკაკი წერეთლისა

ისყიდება ჩარკვიანის, ბართანოვის და ბრიქეტროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაეერდოვის გაზეთის საგენტოში, ბულვარზე.

რკ.	გზა.	ლილ.		ალამ.		II კ.		III კ.	
	თფილისი . .	9	21	5	1	8	კაპ.	8.	კაპ.
	მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
	ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
	ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
	სურამი . . .	1	44			4	90	2	61
	ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
	რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
	სამტრედია .	7	51			9	66	4	93
	ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
	ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
	ფოთი	9	3						
	ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
	სამტრედია .	11	5			2	61	1	33
	რიონი . . .	12	13			3	84	1	97
	ყვირილა . .	1	18	ღამ.		5	3	2	56
	სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
	ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
	ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
	მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
	თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურგს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ ღღე კვირს გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ. — პარასკ. დ. ორშ. ქახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისს და ფოთისაკენ — ყოველ ღღე კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ
და საზღვარ გარეთ:	
ღია წიგნს	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი 29 ივლისს.	—	—
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	20
ქვ. წითელი . .	1	70
ბერი ფუთი . . .	1	35
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	20
— ამერიკისა, ფუთს .	9	40
ბაენტილი ბამბა ფუთი.	10	60
მატყლი თუშური ფუთი.	6	20
— თრაქმისა ფუთი .	3	70
აბრეშუმ. ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	6	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	12	30
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	72
— ცხვრისა, ლიტრა . .	—	81
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	7	—
— ფხვნილი ფუთი .	5	60
ყავა რგვალი გრვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13	30
თამბაქო საშუალო ფუთ.	7	—

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მ. ი. ,წინამძღვაროვ. სახლი. აპთიმეოფებს მიიღებენ ყოველ ღღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი — შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი და ბაბოვი — გულისა და შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი — თვალის, ჭურავლევი — კანისა და ვენერიულის, ბახუტოვი — ქალისა და ბავშვების.

ოთხშაბათს: ლისიცევი — შინაგ, ბაბაევი — ნერვების.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგ. ავათმყ. და ჭურავლევი — კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, ბაბოვი, ბაბაევი და ბახუტოვი.

შაბათს: ვერმიშევი, რეიხი და ჭურავლევი.

ორბეტი — ბილის ექიმი და ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Іюля 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.